საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 360

16 05 2016 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დარგისა და პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განათლების ფასილიტატორების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერის კახაბერ ერაძის 2016 წლის 18 აპრილის №392263 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ²“ და „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.2016 წლის 17 მაისიდან გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) დარგის 25 ფასილიტატორისა და პროგრამის განათლების 25 ფასილიტატორის შერჩევის მიზნით და განაცხადების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 26 მაისი.

2.კონკურსის შედეგად შერჩეულ იქნენ პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორები პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების მიზნით.

3. პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორებს ევალებათ პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტის შემუშავების პროცესის დაგეგმვა, განხორციელება და ანგარიშგება ცენტრის ფარგლებში განსაზღვრული მეთოდოლოგიითა და ინსტრუქციით.

4. პროგრამის დარგის ფასილიტატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

4.1 შესაბამისი მიმართულებით უმაღლესი ან პროფესიული განათლება ან პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

4.1.1 ხელოვნება;

4.1.2 ინჟინერია;

4.1.3 ჯანდაცვა;

4.1.4 ბიზნესის ადმინისტრირება;

4.1.5 მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

4.2. ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარი.

5. პროგრამის დარგის ფასილიტატორობის კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე, www.hr.gov.ge, უნდა ატვირთოს:

5.1. განათლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სამუშაო ადგილიდან ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან შრომის წიგნაკის ასლი, ხოლო, თვითდასაქმების შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი, ხელმოწერილი რეკომენდატორის მიერ), რაც ადასტურებს კონკურსანტის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნასთან.

5.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. პროგრამის განათლების ფასილიტატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

7.1. უმაღლესი განათლება;

7.2. ქართულ ენაზე წერისა და მეტყველების კარგი უნარი;

7.3. Microsoft Office Word და/ან Microsoft Office PowerPoint პროგრამებისა და ინტერნეტის კარგად ცოდნა;

7.4. არანაკლებ 2 წლის სამუშაო სამუშაო გამოცდილება განათლების სფეროში.

7.5. სასურველია ჰქონდეს ჯგუფის მუშაობის კოორდინაციისა და ტრენინგების/სემინარების ჩატარების გამოცდილება;

7.6. სასურველია ინგლისური ან გერმანული ენების კარგად ცოდნა;

7.7. სასურველია უმაღლესი განათლება ან/და სამუშაო გამოცდილება ერთ-ერთი შემდეგი მიმართულებით:

7.7.1. ხელოვნება;

7.7.2. ინჟინერია;

7.7.3. ჯანდაცვა;

7.7.4. ბიზნესის ადმინისტრირება;

7.7.5. მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

8. პროგრამის განათლების ფასილიტატორობის კანდიდატმა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე, www.hr.gov.ge, უნდა ატვირთოს:

8.1. განათლების და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სამუშაო ადგილიდან ან ამონაწერი შრომის წიგნაკიდან ან შრომის წიგნაკის ასლი).

8.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

9. პროგრამის დარგისა და პროგრამის განათლების ფასილიტატორების შესარჩევი კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება;

გ) გასაუბრებაზე შერჩეულ კანდიდატებთან ჩატარებული ტრენინგის შეფასების შედეგები.

10. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს www.hr.gov.ge-ის ვებგვერდის მეშვეობთ კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

11. დაევალოს საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6).

დირექტორი

გიორგი შარვაშიძე